



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალი/LAW

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში საშუალოდ – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი - თამარ ზარანდია

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

1. პროგრამის მიზნები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, სამართლებრივი სისტემების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, რომის სამართლის წყაროებისა და ძირითადი ინსტიტუტების შესახებ, ასევე სიღრმისეული ცოდნა კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და რეგულირების თავისებურებების შესახებ;
- გამოუმუშავოს კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების უნარი;
- გამოუმუშავოს დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს ქართულ ან/და უცხოურ ენებზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარები.

2. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

(A) აღწერს:

- სამართლის არსს, ნიშნებს, ფუნქციებს, ფუნდამენტურ პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებსა და სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ძველი ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს, რომის სამართლის წყაროებს, რომის სამართლის ძირითადი ინსტიტუტებსა და კატეგორიებს;
- სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებსა და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების სტრუქტურას, ორგანიზაციისა და საქმეთა განხილვის წესს, ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს,

საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავების წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;

- კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, წყაროებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, საკორპორაციო სამართლის პრინციპებსა და სამეწარმეო თავისუფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;
- სისხლის სამართლის მიზნებს, ამოცანებს. ძირითად პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს.

უნარები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- (B) ანალიზებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- (C) არჩევს, ანალიზებს და იყენებს შესაბამის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;
- (D) შეიმუშავებს საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროში საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების, კერძო სამართლებრივი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტებს, ასევე დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;
- (E) შეიმუშავებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- (F) მოიძიებს და გამოარჩევს ქართულ ან/და უცხოურ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, რითაც ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით;
- (G) ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, პატივს სცემს ინდივიდთა უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში იურისტის ეთიკური სტანდარტებითა და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ადიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

4. სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

- ლექცია
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სხვა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

5. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

6. დასაქმების სფეროები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა ან სხვა ორგანიზაციებში.

7. სწავლის გაგრძელების საშუალება

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს, ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

8. პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ბაკალავრებისათვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- 2500 მ2 ფართზე განლაგებული სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა იურიდიული ფაკულტეტთან არსებული სასემინარო ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები (სულ 18 600-ზე მეტი ეგზემპლარი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა);
- 134 კომპიუტერი ინტერნეტის თავისუფალი წვდომით;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი და მედიაციის ცენტრი.

9. პროგრამის ადამიანური რესურსი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (22 პროფესორი, 30 ასოცირებული პროფესორი, 15 ასისტენტ-პროფესორი, 13 ასისტენტი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები (104 მოწვეული სპეციალისტი/პროფესორი), რომელთაც აქვთ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დანართში და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

10. საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან. გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე და ა.შ..

11. პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო სასწავლო პროგრამა შედგება უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის კომპონენტის (A), სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების (B), საჯარო სამართლის მოდულის (C), კერძო სამართლის მოდულის (D), სისხლის სამართლის მოდულის (E), სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსისა (F) და თავისუფალი კომპონენტისაგან (G).

მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და თითოეული მათგანის შესწავლა შესაძლებელია სავალდებულო წინაპირობა იყოს პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტიდან სტუდენტმა სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე უნდა დააგროვოს 160 კრედიტი (მათ შორის, 20 ECTS უცხოური ენის კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების, 15 ECTS სპეციალობის საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსების, 45 ECTS საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების, 50 ECTS კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების, 25 ECTS სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების და 5 ECTS იურიდიულ პროფესიათა სამართლებრივი საფუძვლების სავალდებულო სასწავლო კურსის ხარჯზე), ხოლო 80 კრედიტი უცხოური ენის კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების, სპეციალობის არჩევითი საბაზისო სასწავლო კურსების, საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი

სასწავლო კურსების, კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ან/და თავისუფალი კომპონენტის ხარჯზე. ამასთან, სტუდენტმა სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების ხარჯზე უნდა დააგროვოს მინიმუმ 180 კრედიტი.

(A) უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის კომპონენტი

უცხოური ენის კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენის შესწავლაზე და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, უცხოენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე. უცხოური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 20 კრედიტის მოცულობით, 4 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსი საშუალებას აძლევს სტუდენტს შეისწავლოს სპეციალობისათვის რელევანტური უცხოური ენა.

ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს უცხოური ენის კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შესაძლებელია შეეთავაზოთ უცხო ქვეყნის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის (მოწვეული პროფესორების) მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსები.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენის B2-ის ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი), თსუ-ის უცხო ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე, თავისუფლდება უცხოური ენის კომპონენტისაგან.

ამ შემთხვევაში, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების ან/და თავისუფალი კომპონენტის ხარჯზე.

(B) სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები

სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები გამოუმუშავენ სტუდენტს დარგობრივი დისციპლინების დაუფლებისათვის სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნების საწყის უნარებს, ასევე ძველი ქართული სამართლის წყაროების მოძიების, მათზე მუშაობის, საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის და დასაბუთების უნარებს.

სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 15 კრედიტი. ამასთან, სპეციალობის არჩევითი საბაზისო სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიღრმავოს ცოდნა სამართლის ისტორიის, ასევე სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების სფეროში (სამართლის მეთოდები, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ისლამური სამართალი, ქართული სამართლებრივი აზრის ისტორია, საეკლესიო სამართალი და სხვა).

სპეციალობის სავალდებულო საბაზისო სასწავლო მეშვეობით სტუდენტი შეიძენს ფართო თეორიულ ცოდნას:

- სამართლის ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების, სამართლის ძირითადი თეორიების, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებისა და სტადიების, განმარტების მეთოდების, სამართლის ფილოსოფიური და სოციალური საფუძვლების, სამართლის ფუნქციების, სამართლის ნორმის სახეების და სტრუქტურის, სამართალშემოქმედების პრინციპების და სახეების, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტების, იურიდიული ფაქტების, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიების, ასევე იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და სახეების შესახებ;

- ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, ქართული სახელმწიფო სამართლის განვითარების ძირითადი ეტაპებისა და თავისებურებების, ძველი ქართული სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების, ქართული სამართლებრივი კულტურის ძირითადი ნიშნების და თავისებურებების, ასევე ძველი ქართული სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა და სამართალგანვითარების ტენდენციების შესახებ;
- რომის სამართლის ევოლუციის, თანამედროვე სახელმწიფოების კანონმდებლობაში მისი შემდგომი გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებისა და მიზანშეწონილობის, აგრეთვე, რომის სამართლის ძირითადი ინსტიტუტებისა და კატეგორიების შესახებ.

(C) საჯარო სამართლის მოდული

საჯარო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 45 კრედიტი. საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, მათ შორის საერთაშორისო, სამართლის სფეროში.

საჯარო სამართლის მოდულის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში და გამოუმუშავოს აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- გამოუმუშავოს საჯარო სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საჯარო სამართლის სფეროში საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციულ დავებში პოზიციების დასაბუთების, სხვა კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელებისა და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების უნარი;
- გამოუმუშავოს საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, საჯარო სამართლის სფეროში იურიდიული ხასიათის დოკუმენტების პროექტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს საჯარო სამართლის სფეროში საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე საკონსტიტუციო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებისას სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარები.

საჯარო სამართლის მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აღწერს სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებსა და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების სტრუქტურას, ორგანიზაციისა და საქმეთა განხილვის წესს, ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავების წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;
- აანალიზებს საჯარო სამართლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- შეიმუშავებს საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საპროცესო დოკუმენტების (საკონსტიტუციო სარჩელი, ადმინისტრაციული სარჩელი, გადაწყვეტილება, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი და სხვა), ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტებს, ასევე

საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

- შეიმუშავენ საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- არჩევენ, ანალიზებენ და იყენებენ საჯარო სამართლის მარეგულირებელ მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციულ დავაში პოზიციების დასაბუთების, ასევე საჯარო სამართლის სფეროში კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელებისა და იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;
- მოიძიებენ და გამოარჩევენ საჯარო სამართლის სფეროში საჭირო ინფორმაციას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით;
- ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, პატივს სცემს ინდივიდთა უფლებებს, მონაწილეობს საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესებში იურისტის ეთიკური სტანდარტებითა და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

(D) კერძო სამართლის მოდული

კერძო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 50 კრედიტი. კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა კერძო სამართლის სფეროში.

კერძო სამართლის მოდულის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა კერძო სამართლის სფეროში და გამოუმუშავოს აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- გამოუმუშავოს კერძო სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, კერძო სამართლის სფეროში საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამოქალაქო დავებში პოზიციების დასაბუთების, სხვა კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელებისა და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების უნარი;
- გამოუმუშავოს კერძოსამართლებრივი დავების გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, კერძო სამართლის სფეროში იურიდიული ხასიათის დოკუმენტების პროექტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს კერძო სამართლის სფეროში საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოებისას სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარები.

კერძო სამართლის მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აღწერს კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, წყაროებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, საკორპორაციო სამართლის პრინციპებსა და სამეწარმეო თავისუფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქოსამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი

სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;

- ანალიზებს კერძო სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- შეიმუშავებს სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად საპროცესო დოკუმენტების (სარჩელი, შესაგებელი, სააპელაციო საჩივარი, სააპელაციო შესაგებელი, საკასაციო საჩივარი, საკასაციო შესაგებელი, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, სასამართლო განჩინება, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება), სამოქალაქო ხელშეკრულებების, მათ შორის საქორწინო ხელშეკრულების, შრომითი ხელშეკრულების, სადამფუძნებლო ხელშეკრულების პროექტებს, ასევე სამოქალაქო დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;
- შეიმუშავებს კერძო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- არჩევს, ანალიზებს და იყენებს კერძო სამართლის მარეგულირებელ მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამოქალაქო დავაში პოზიციების დასაბუთების, ასევე კერძო სამართლის სფეროში კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელებისა და იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;
- მოიძიებს და გამოარჩევს კერძო სამართლის სფეროში საჭირო ინფორმაციას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით;
- ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, პატივს სცემს ინდივიდთა უფლებებს, მონაწილეობს სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესებში იურისტის ეთიკური სტანდარტებითა და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

(E) სისხლის სამართლის მოდული

სისხლის სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 25 კრედიტი. სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში.

სისხლის სამართლის მოდულის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში და გამოუმუშავოს აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- გამოუმუშავოს სისხლის სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, სისხლის სამართლის სფეროში საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას პოზიციების დასაბუთების, სხვა კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელებისა და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების უნარი;
- გამოუმუშავოს სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სტრატეგიისა და ტაქტიკის, სისხლის სამართლის სფეროში იურიდიული ხასიათის დოკუმენტების პროექტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს სისხლის სამართლის სფეროში საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარები.

სისხლის სამართლის მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აღწერს სისხლის სამართლის მიზნებს, ამოცანებს. ძირითად პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;
- აანალიზებს სისხლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- შეიმუშავებს სისხლის სამართალწარმოების საპროცესო აქტების პროექტებს, ასევე სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას;
- შეიმუშავებს სისხლის სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
